№ 76

ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1900 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 76

ხუთშაბათი, 6 აპრილი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაგარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 22

დღესასწაულისა გამო შემდეგი ნომერი გამოვა, კვირას, 9 აპრილს.

## სახალხო სეირნობა საქველმოქმედო ბაზრითურთ

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სასარგებლოდ" განზრახულია გაიმართოს მაისის 6 და 7-ში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულ ს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

## ქუთაისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოების

გამგეობას აქვს პატივი განაცხადოს, რომ საზოგადოების წევრთა ჩვეულებრივის საყოველთაო კრების მაგიერ, რომელიც ამა წლის 26 მარტს არ შესდგა, დანიშნულია ხელ-ახალი კრება ამა აპრილის 15 რიცხვს, შაბათს, საღამოს 7 საათზედ. (1—6.—1)

## „მუშაკვალის"

ქართველთა საღებ-მიცემო ამხანაგობის გამგეობას აქვს პატივი აუწყოს ამ ამხანაგობის წევრთა და პატივცემულ საზოგადოებას, რომ მის მაღაზიაში (თამამშოვის ქარვასლა, პუშკინის ბაღის პირდაპირ) ისყიდება პირიანად ყოველგვარი საუკეთესო ბაკალეული, გასტრონომიული საქონელი და სასმელეული; აგრეთვე სააღდგომოდ ყველა საჭირო სანოვაგეულობა და პასქები. (3—6.—3)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის და ნაშუადღევის 5—6-დის.

**გ. გ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—12—1 საღოლტაქრო. სამშაბ. 3—4.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საღოლტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდის ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^{1}/_{2}$—8 საათ.

**ვ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს სამკურნალო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსა დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ახალი ამბავი

—

*** როგორც შევიტყეთ, წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ განზრახული ბაზრობა გაიმართება მომავალის მაისის ექვსსა და შვიდს. საზოგადოებამ უკვე მიიღო ნივთები შემომწირველთაგან და იმედი აქვს, რომ ექვს მაისამდე კიდევ ბევრს სხვა ნივთებსაც მიიღებს.

*** ამ რამდენისამე ხნის წინად „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ" განსაკუთრებული კომისია აარჩია და ამ კომისიას მიანდო ქართველ მოღვაწეთათვის ძეგლების დადგმის საქმე. კომისიას უკვე შეუკვეთნია მექანდაკის ანჯელო ანდრიოლეტისათვის სამი ძეგლი—ბარათაშვილისა, დიმიტრი ბაქრაძისა და როინაშვილისა. ეს ძეგლები ენკენისთვისათვის იქმნება მზად.

*** უმაღლესის ბრძანებით, კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტს თავ. გოლიცინს ნება დაერთო მოუმატოს მიმდინარე წელს ქალაქის ხმოსანთა და რწმუნებულთა რიცხვს არა ქრისტიანთაგან, ქალაქის მცხოვრებ ქრისტიანეთა რიცხვის მიუხედავად. ხმოსანთა და რწმუნებულთა რიცხვი...

"

## ფელეტონი

—

### წერილები ინგლისიდგან

(საკუთარის თანამშრომელისაგან)

უელსის პრინცის მოკვლის განზრახვა.—დედოფალი ირლანდიაში.—ორი დამარცხება ინგლისის ჯარისა.—ჩემბერლენის მომხრეთა მიერ პარლამენტში ხმარებული შესანიშნავი ხრიკები.

როდესაც ჩემი წერილი დაიბეჭდება „ივერიაში", მკითხველებს, ეჭვი არ არის, დაწვრილებით ექმნებათ გაგებული რაც ინგლისის ტახტის მემკვიდრეს ბრიუსელში გადახდა. არ ვკისრულობ ახალი რამ მივაწოდო მკითხველს, მხოლოდ მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა დასების და იმის შესახებ, თუ რამ აიძულა სიპიდო ასეთი საქმე ჩაედინა.

— პრინცის მოკვლა ანარქისტმა განიზრახა,—ნათქვამი იყო პირველ დეპეშაში.

— რევოლვერი ესროლა პრინცს სიპიდომ იმისთვის, რომ ბოერების მაგიერ შური იძიაო,—იუწყებოდნენ კორესპონდენტები.

— აი სადამდე შეუძლიან მიიყვანოს კაცი ტრანსვაალის დამცველთა აგიტაციამაო,—განაცხადეს ჩემბერლენისა, როდსისა და აფრიკის მძარცველთა გაზეთებმა.

— დაუფიქრდნენ ჩვენი ინგლისის მოძღვრები, სწერდნენ „Temps"-ი, „Figaro", „Journal des Debats"-ი და სხვანი,—სადამდე მიიყვანეს მათ თავიანთი მკითხველნი.

ჩვენს დროში რომ ყველა ასეთ საქმეს ანარქისტებს აწერენ,—ეს ისეა ადვილი გასაგებია, როგორც ის, რომ წინად ასეთსავე საქმეებს კარბონარებსა და მაძინის აწერდნენ, ხოლო იმაზედ წინ—იაკობელებსა და რესპუბლიკელებს. მართალია, თექვსმეტის წლის სიპიდოს წაუკითხავს ანარქიული ფურცლები, მაგრამ ისიც მართალია, რომ ამ ფურცლებში კრინტიც არ არის დაძრული პრინცის წინააღმდეგ. თვით ინგლისში, სადაც ანარქისტები თავისუფლად, ხელ-შეუხებლად სცხოვრობენ, არასოდეს უელსის პრინცის მოკვლა არ განუზრახავთ.

უფრო სიმართლესთან ახლოა ფრანგულის გაზეთების სიტყვები, რომელნიც ამბობდნენ, რომ სიპიდომ „ბოერების მაგიერ შური იძიაო". მართლაც და ხომ მთელი ქვეყანა აღელვებულია ძლიერის ინგლისის საქციელით, იმ ინგლისისა, რომელიც პატარა რესპუბლიკას თავს დაესხა მხოლოდ იმისთვის, რომ, როგორც როდსისა და მილნერის ერთმა თანამშრომელმა განაცხადა, „ბოერები კომბოსტოსა სთესავენ იმ მიწაზედ, რომელშიაც ოქროს უუმდიდრესი მადნებია. როგორ უნდა განვდევნოთ, ან დავიმორჩილოთ ასეთი ხალხიო?" თუ რა ზომამდეა საზოგადოება აღელვებული გერმანიასა, ავსტრიასა და საფრანგეთში ძალ-მომრეობისა და მტაცებლობის პოლიტიკით, სჩანს მარტო იქიდგანაც, რომ დიდს უპატიურებას აყენებენ და საიცრაოდ სდევნიან დრეზდენსა, ტიროლსა, პარიჟსა, ბორდოსა და სხვაგან ინგლისელებს და ყველაფერს ინგლისურს. ამერიკის შესახებ ხომ რაღას ვიტყვით, იმ ამერიკისა, სადაც სენატიც, პალატაც და მთლად ერიც პატარა რესპუბლიკის მხარესაა. უფრო მეტ თანაგრძნობას უცხადებენ ბოერებს მათი თანამოძმენი ჰოლანდიელნი და აგრეთვე ბელგიელნი. ბრიუსელის ჟურნალ-გაზეთები, მიმართულების მიუხედავად, ერთხმად ჰკიცხავენ ინგლისის მთავრობასა და მმართველებს; სიტყვებსა და წერილებს ჩემბერლენისა, როდსისა და მილნერის წინააღმდეგ დასასრული არა აქვს. იმის წინა დღეს, როდესაც სიპიდომ პრინცის მოკვლა განიზრახა, ბრიუსელში დიდი მიტინგი იყო თურმე. ამ მიტინგზედ წარმოუთქვამთ მრავალი სიტყვები ინგლისის წინააღმდეგ, გაუკიცხავთ იმისი მმართველნი და სიპიდო სწორედ ამ მიტინგს დასწრებია... დანარჩენს მკითხველი ადვილად მიხვდება.

სიპიდომ პრინცს რევოლვერი ესროლა და ის-კი არ იცოდა, რომ ინგლისში ომს, პრინცები-კი არა, სამინისტრო აცხადებს... და თუ მაინც და-მაინც ვისმეს ამ საქმეში რამე ცოდვა მიუძღვის, ყოველს შემთხვევაში სამეფო გვარეულობის წევრნი საზოგადოდ და პრინცი კერძოდ სრულიად უდანაშაულონი არიან.

—

დედოფალმა ბრიუსელში მომხდარი სამწუხარო ამბავი იმ დროს შეიტყო, როდესაც ირლანდიელნი არაჩვეულებრივის ალტაცებით ეგებებოდნენ თავიანთ სატახტო ქალაქ დუბლინში. ძნელი წარმოსადგენია ის, თუ რა სახელი აქვს გავარდნილი ირლანდიელს ინგლისში და რა მოდაშია დღეს ყველაფერი ირლანდიური. სწორედ ამის გამო ირლანდიელნიც ისეთის ალტაცებითა და გულ-უხვობით დაუხვდნენ მოხუცებულს დედოფალს, რომ საეროდ ასის წარმომადგენელნი ფიქრსა და საგონებელს მიეცნენ... როდესაც ერთს გონიერს ირლანდიელს მანდილოსანს შევეკითხე ამ დახვედრის შესახებ, მეტად თავისებური და ღირს-საყურადღებო პასუხი მომცა.

„ჩვენ, ირლანდიელნი მეტად მგრძნობიარე გულის ხალხი ვართ და ამიტომ უბრალო რამ ამბავი თავდავიწყებამდე გაგვიტაცებს ხოლმე. აი იმისი მაგალითიც, თუ ირლანდიელს რა თავ დავიწყებამდე შეუძლიან გატაცება. კოლენზოსთან მომხდარ ბრძოლის დროს, როდესაც ბოერები დაუზოგველად მუსრს ადენდნენ თვით ირლანდიელთა რაზმს, ორ ჯარის-კაცს ჩხუბი მოუვიდა. ამ ჯარის-კაცებმა შუა ბრძოლაში არც ტყვიების ზუზუნს მიაქციეს ყურადღება და არც სხვა რასმეს, დაჰყარეს თოფები და ცხარე ბოქსი (კრივი) გამართეს, ხოლო როდესაც ამ საქმეს მორჩნენ, ერთადვე მტერს შეუტიეს. ირლანდიელის ბუნება ასეთია და ამიტომ ესევე ხდება ეხლა დედოფლის დახვედრის დროს. ეგებებიან ალტაცებით, დაუსრულებელის „ვაშას" ძახილით; მაგრამ ეს გატაცება წუთიერია და გასტანს იმ დრომდე,ვიდრე მოხუცებულს დედოფალს თავიანთ შორის ჰხედავენ. ხოლო რაც შეეხება პოლიტიკას... აი ჰნახავთ, რომ ირლანდია ისევ იმ „შეურიგებელთ" გამოჰგზავნის, ჰნახავთ თქვენის თვალით, თუ, როგორც ამბობენ, მართლა შემოდგომაზედ პარლამენტის წევრთა ახალი არჩევანები მოხდა"—დასძინა მანდილოსანმა.

—

ჟუბერის სიკვდილისა და კრონიეს დატყვევების შემდეგ ბევრი სასოწარკვეთილებასაც-კი მიეცა ტრანსვაალის გამო: ვილა უნდა გაუძლევს ბოერებს, ვილამ უნდა გაუწიოს მეთაურობა მამაც მებრძოლთ ინგლისის უთვალავ ჯარის წინააღმდეგო, ამბობდნენ. ასეთს ფიქრსა და საგონებელში იყვნენ ბოერების მეგობრები, რომ მოულოდნელად ამ კვირია ინგლისელების ორჯელ დამარცხების ამბავი მოვიდა, მეტად თვალ-საჩინო დამარცხებისა, რადგან ბოერებმა ორსავე ბრძოლაში 980 ინგლისელი წაიყვანეს ტყვედ, ორასამდე მათივე ჯარის-კაცი მოჰკლეს და ექვსი ზარბაზანი, ორასი სურსათით დატვირთული ურემი და მრავალი საბუთის ქაღალდები კიდევ წაართვეს. მაგრამ უმთავრესი მაინც ის არის, რომ ბოერების ახალგაზრდა მთავარსარდალმა გენერალმა ბოტამ თავისი ჯარი გარს შემოარტყა ბლუმფონტენს და იქ მომწყვდეული რობერტსი სრულიად მოსწყვიტა კაპტოუნს. გაზეთები საოცარის შიშის კილოთი ლაპარაკობენ ამის შესახებ. ბოერების ზოგი მეგობარი კიდევ სიხარულსა და იმედსაც-კი მიეცა. ახალგაზრდა საგენერალო შტაბი,—ჰფიქრობენ ესენი,—ახალგაზრდა მთავარსარდალი, ეს ხომ მხნეობის, თავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზულთა რიცხვი არა-ქრისტეანთაგან გამრავლებულ იქნება იმაზედ მეტად, ვიდრე საქალაქო დებულების მე 44 მუხლშია მოხსენებული.

⁂ კომისიამ, რომელიც შესდგება ქალაქის ინჟენერთა, სამკურნალო-სასანიტარო ინსპექტორისა და ბეითალთაგან, დაათვალიერა ქალაქის საყასბოები. ხის ფარდულების მაგიერ თანდათან ქვით-კირის ჩარდახებს აშენებენ და საზოგადოდ საქონლის საყასბო ადგილები უფრო და უფრო უმჯობესდება, მხოლოდ ამასთანავე საჭიროა გაიყვანონ საერთო მილი სისხლისა და უწმიდურების გადასაქცევად.

⁂ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" განუზრახავს გამოსცეს სურათებით დამშვენებული განსაკუთრებული სადარბაზო ბარათები, კონვერტები და საფოსტო ქაღალდები.

⁂ სამიწად-მოქმედო მინისტრის რწმუნებულს ბ ნს მედვედევს კავკასიის გუბერნიებში გაუგზავნია რამდენიმე ინსტრუქტორი, რომელთაც სოფლელებს უნდა ასწავლონ და ხელმძღვანელობა გაუწიონ აბრეშუმის ჭიის მოყვანის დროს.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროდ უცვნია კავკასიაშიაც, როგორც რუსეთის შიდა გუბერნიებშია დაწესებული, ის წეს-რიგი შემოიღოს, რომ ამ სამინისტროს ცნობები ეგზავნებოდეს ხოლმე მოსავლის მოკრების დამთავრებამდე.

⁂ ტფილისის სამოსამართლო პალატამ 1 აპრილს განიხილა საქმე გაბრიელ დგებუაძისა, რომელსაც ყალბის ფულის გაკეთება ჰბრალდებოდა. სამოსამართლო პალატამ დაამტკიცა ტფილისის ოლქის სასამართლოს განაჩენი, რომლითაც დგებუაძეს გარდაწყვეტილი აქვს ყოველისავე უფლებისა და უპირატესობის ჩამორთმევა და ოთხის წლით კატორგაში გაგზავნა.

⁂ ფინანსთა სამინისტროს 14,600 მან. გადაუდვია კალიასთან საბრძოლველად ტფილისის, ბაქოს და დაღესტნის ოლქებში.

⁂ ამ უკანასკნელ ხანს ბაქოში დიდად გაითქვა სახელი მაჰმადიანმა ქერბალაე-ალე-იბრაგიმოვმა, რომელიც რაღაც მალამოს შემწეობით ჰკურნავს ვითომ და ყოველ გვარს სნეულებას. ტფილისიდგანაც კი წავიდა ამ უცნაურ მკურნალთან რამდენიმე ავადმყოფი. ადგილობრივმა სამკურნალო გამგეობამ ყურადღება მიაქცია იბრაგიმოვის წამლობას, გამოიკვლია მისგან გაკეთებული მალამო და აღმოჩნდა, რომ იგი შეზავებული იყო თხის ქონისა, ტერპენტინისა (მცენარეა) და კოშტ სანთლიდგან და ღირს სულ არა უმეტეს 10 კაპ. იბრაგიმოვი-კი ამ მალამოს, ერთს წასმას, ჰყიდის 4 მანეთად; ეს მალამო გამოსადეგია თურმე ურმის თვლების მოსაცხებათ, მაგრამ ქალებს იგი სახის გასალამაზებლად გამოუყენებიათ და იბრაგიმოვიც კარგად სარგებლობს ჩვენთა ქალთა ამ ახალმოდურ უმარილობით. იბრაგიმოვისთვის ნება დაურთავს პეტერბურგის სამკურნალო გამგეობას ჰყიდოს თავისი დამზადებული მალამო მხოლოდ როგორც კოსმეტიური საშუალება კანის დასარბილებლად და არა სამკურნალო წამლად, რისთვისაც იგი სრულიად გამოუსადეგარია თურმე. ეხლა სამკურნალო გამგეობას ხელწერილი ჩამოურთმევია იბრაგიმოვისთვის და აღუკრძალავს ამ მალამოს სამკურნალო წამლად გაყიდვა.

⁂ სოფ. აბაშა, (ქუთაისის მაზრა). აქ ყელ-ჭირვება გაჩნდა და ერთი ბავშვი იმსხვერპლა.

⁂ სოფ. ნიგორზღვა, (ქუთაისის მაზრა). ჩვენს სოფელში წითელა გავრცელებული, მაგრამ ჯერ არავინ უმსხვერპლია.

⁂ ქალაქის უმთავრესი სამკურნალო დღეს, დიდ ხუთშაბათს, დაკეტილი იქნება და ავადმყოფებს არ მიიღებენ. სამკურნალო დაკეტილი იქნება აგრეთვე აღდგომის პირველ სამს დღეს.

## პატარა საუბარი

თაგვმა სთხარა სთხარაო და კატა გამოსთხარაო, სწორედ ეს ამბავი დაემართა ჩვენს სახელოვანს ნოე ჟორდანიას. ეს უწუნარი და უშიშარი რაინდი ყოვლად უმეცრობისა „კვალის" № 13, გვ. 207 მეუბნება თავისს ჩვეულებრივ თავ-მოწონების უგემურობითა:

„ეს „ახალ-მოსული" სამაგალითოდ იმეორებს „ივერიას" და მისს პატრონს და ამავე დროს გვარწმუნებს: „მე არც „ივერიის" დარდი მაქვს და არც ილია ჭავჭავაძისაო". ფიცი მრწამს, მაგრამ ბოლო მაკვირვებსო, ამაზეა ნათქვამიო".

მე სრულებითაც არ მეთაკილება, რომ ან ერთი განვიმეორო, ან მეორე და თუმცა ზოგიერთში არც ერთს ვეთანხმები, არც მეორეს, მაგრამ ერთობილად ამათი აყოლა ჩემთვის სათაკილო არ არის და გაცილებით სასახელოა, ვიდრე თქვენი აყოლა, ბ-ნო ჟორდანიავ.

ამას თავი დავანებოთ. მაგისთანა ლაპარაკი გროშადაც არა ჰღირს და ვერას უშველის ბ-ნ ჟორდანიას,— ამ უმეცრობის ვეშაპს, ანუ დევგმირსა, რომელსაც შაქრის ქაღალდის ლახტი დაუჭერია და ჰგონია ამით ქვეყანას შევძრავო და მოპირისპირეებს მოვიგერიებო. წამიკითხავს ბ-ნ ჟორდანიას ნაწერები, რომლის ერთობილი სახელი „ჟორდანიას ტყაოსანია". წამიკითხავს და ვიცი, რა წითელი კოჭიც ბრძანდება. იგი ეხლა ფორთხალობს, როგორც ჰიჭყინა, წყლიდამ ქვიშაზე გადმოგდებული მებადურისაგან.

ფიცი მრწამს, ბოლო მაკვირვებსო! მე ახლა იმისთანა უეცარს მაგალითს წარმოგიდგენთ, რომ მართლა ფიცი იწამოთ და ბოლომ-კი გაგაოცოთ. ჯერ მინამ ამ მაგალითს ვიტყოდე, ერთი ეს მინდა ვკითხო ბ-ნ ჟორდანიას: ნეტა რას უწოდებთ იმ კაცს, რომელიც, რაკი თავისი არა აბადია რა, არა გააჩნია რა, ზედმიწევნით იმეორებს „ივერიის" პატრონს, მისის აზრებით იკვებება და რაც „ივერიის" პატრონს ამ ოც-და-თექვსმეტ წლის წინად უთქვამს, იგი დაუჩემებია უპრაგონოდ და ახალ მოძღვრებად ასაღებს 1898 წელს დიდის ფახიფუხით და თავ-მოწონებით. ეს კიდევ არაფერი, რომ „ივერიის" პატრონის აზრები დაუჩემებია და თავისად გაუსაღებია, ვითომც აქ არაფერიაო, ეხლა მისდგომია და იმ აზრების პატრონს უაზრობას, უვიცობას, უხეირობას სწამებს. ბ-ნო ჟორდანიავ, რა ჰქვიან თქვენებურად ამისთანა ვაჟ-ბატონს? რა თქმა უნდა აქ ნათლობის სახელი არაფერს შუაშია, ზნეობის გამომეტყველი სახელი გვიბძანეთ.

მანამ თქვენს ლექსიკონში ზნეობის გამომეტყველს სახელს ამისთანა კაცისას მიპოვიდეთ, მე გეტყვით მისს ნათლობის სახელს: იმისთანა კაცს დღეს ჩვენში ჰქვიან,—ნოე ჟორდანია და ეს მისი ნათლობის სახელია მხოლოდ.

დიახ, ბატონებო, ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ გერმანია და იქმნება მთელი ევროპაც მოიარა და რა მოგვიტანა? მოვიდა აქ, ჩვენში, და როცა სათავეში ჩაუდგა „კვალს" და საჭიროდ გაუხდა თვისი პროგრამმა გამოეცხადებინა თვისთა მკითხველთათვის, თვისნი საკუთარნი დედა აზრნი მათთვის გაეთვალწინებინა, თავისნი გულის ნადებნი გამოექვეყნა, რა ჩაიდინა მაშინ ბ-ნმა ჟორდანიამ? იქექა, იფხანა თავი და საკუთარს კიდობანში რომ კუტი პურიც არ მოეძევებოდა, კუჭს რით გაიძღობდა, თუ არ სხვისით? ასე უნდა ვიფიქროთ, იმიტომ-რომ ბოლოს სხვის პურს დაუწყო მშიერმა ღეჭვა და ცოხნა და იოლად წავიდა.

დიახ, ბატონებო, იმაზე მეტი ვერა მოახერხა რა, რომ 1863 წ. „საქართველოს მოამბეში" გამოთქმული აზრები 1898 წელს დაიჩემა, მიიკუთნა, „საქართველოს მოამბის" პროგრამმა თავისს საკუთარ პროგრამმად აქცია და გაასაღა. არც რამ ლარი, არც რამ ხაზი! ეხლა აინუნშიაც არ მოსდის ეს საოცარი და დაუჯერებელი ამბავი და საქციელი. მართლ-რომ კაცია და გუნებაო!...

იქმნება არა გჯეროთ, რომ ბ-ნმა ჟორდანიამ ეს ამბავი ჩაიდინა. მართლა დაუჯერებელია, რომ ამისი უტყუარი საბუთები ხელთ არა მქონდეს. აბა ცალ მხარეზე ბ-ნ ჟორდანიას ნათქვამს მოვიყვან და მეორე მხარეს „საქართველოს მოამბისას", რომლის პატრონიც იყო მაშინ დღევანდელი პატრონი „ივერიისა", და დააკვირდით მუშტრის

---

განწირვისა, გმირობის მომასწავებელიაო. ჰნახავთ, როგორ დაატრიალონ საქმე ამ ახალგაზდებმა. ჰნახავთ აგრეთვე იმას, თუ რა შედეგი მოჰყვება ამ ომს: სწორედ ეხლა გამოირკვევა საბოლოოდ, რომ აწინდელის საომარ იარაღის წყალობით პატარა, მაგრამ მამაც ხალხსაც შეუძლიან გაუმკლავდეს და მედგრად დაუდგეს მრავალ-რიცხოვან ჯარს; განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს ხალხი თავისს დამოუკიდებლობასა და ეროვნებას იცავს.

დიაღ, ვინ იცის, იქნებ ბოერები ძვირად, მეტად ძვირად დაუჯდეთ ინგლისელებს, მაგრამ თუ სახელმწიფონი არ გამოესარჩლნენ და თუ ინგლისში სამინისტრო არ გამოიცვალა—რაც ეხლა ძნელად მოსალოდნელია—ძლიერი ინგლისი ადრე თუ გვიან მაინც გასრესავს ერთ მუჭა მამაც მთიელებს, რომელნიც ასე გმირულად იცავენ თავიანთ საერო საქმეს, და მაშინ სრულის თავისის საზიზღრობით გაბატონდება ბირჟის ძლევა-მოსილი მძარცველობა.

—

მეტად მოხერხებული ხრიკი იხმარეს ჩემბერლენმა და იმის მეგობრებმა თავიანთის წადილის განსახორციელებლად. წარმოიდგინე, მკითხველო, რომ პარლამენტს არ შეუძლიან ეხლა ილაპარაკოს არც ომისა, არც ზავის დადებისა და არც ამ საზავო პირობათა შესახებ, და, ასე გასინჯეთ, ეს კლიტე პარლამენტს პირზედ კანონის ძალით დაედო. ერთხელვე შემოღებულის წესით, თუ პარლამენტის ერთმა წევრმა წერილობითი განცხადება შეიტანა რომელისამე საგნის განხილვის შესახებ, ვიდრე ეს განხილვა არ დამთავრდება, პარლამენტს ნება არა აქვს ამავე საგნის შესახებ სხვის წინადადების განხილვას შეუდგეს.

აი, სწორედ ამ წესით ისარგებლეს ჩემბერლენის მეგობრებმა და ერთმა მათგანმა, პოლკოვნიკ დეპუტატმა დიუნკომ წარსულ კვირას შეიტანა პარლამენტში წერილობითი განცხადება, რომ „არავითარი პირობანი ზავისა არ უნდა იქმნას მიღებული ორისავე რესპუბლიკის შემოერთების პირობის გარდაო. შეიტანა ეს სამარცხვინო წინადადება, თვით გემში ჩაჯდა და სამხრეთ-აფრიკისაკენ გაუდგა გზას. ეხლა უცადე, ვიდრე ეს ვაჟბატონი უკანვე ლონდონში დაბრუნდება. მანამდე-კი— stop machine. სამსოფლიო ისტორიის უძლიერეს პარლამენტს არ შეუძლიან განიხილოს პოლიტიკის უპირველესი საგანი,—საგანი ომისა და მშვიდობიანობის შესახებ. სად არის მაშ ჩვენი უფლება? სად არის სიტყვის თავისუფლება?—შეეკითხა გუშინ პარლამენტს ერთი დეპუტატი.

— იშფოთეთო—ჰფიქრობენ ამავე დროს კმაყოფილი მოწინააღმდეგენი,—ე პირი ხომ წყლით ამოგივსეთ და ეხლა, რაც გინდათ, ისა ჰქენით.

მაგრამ ასეთი საშუალება ოპოზიციის ჩაჩუმებისა, ასე გასინჯეთ ბალფურსაც-კი აღელვებს და აშფოთებს. ბალფურმა წინააღმდეგობა განაცხადა. ლაპარაკი აღძრეს კომისიის დანიშვნის შესახებ, მაგრამ კომისია აღდგომის დღესასწაულების გასვლამდე არ შეიკრიბება, მანამდე-კი, ვინ იცის, რა მოხდება! ჩემბერლენის მეგობართა კამათის გადადება უნდოდათ და კიდეც მიაღწიეს გულის წადილს.

მაგრამ დააძვრენენ თუ არა ისინი თავს ერისა, ისტორიისა და კაცობრიობის წინაშე პასუხის გებისაგან? ძალიან საეჭვოა.

ვ. მარველი

## დღევანდელი მდგომარეობა მევენახეობისა და ღვინის წარმოებისა თელავის მაზრაში

(დასასრული *)

დასასრულ, ვგონებ, მეტი არ იქნება რამდენიმე სიტყვა ითქვას ვენახების ადგილობრივ მიღებულ მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენების წესის თაობაზედ.

ამ საქმის შესახებ თელავის მაზრაში ისევ მამა-პაპური წეს-რიგი დღევანდლამდე თითქმის შეუშლელად არსებობს, გარდა, რასაკვირველია, საუფლისწულო მამულებისა, სადაც ვაზის მუშაობა და ღვინის დაყენება მეცნიერულად სწარმოებს და ყოველივე განკარგება, რაიცა-კი მიღებულია დასავლეთს ევროპაში, აქაც შემოღებული და ხმარებულია. აქ მიღებული წეს-რიგი ვაზის მოვლა-მოშენებისა და ღვინის დაყენებისა, იმედი უნდა ვიქონიოთ, ნელ-ნელა ხალხშიაც გავრცელდება და ეს საუცხოვოდ მომართული მამული თავისს დროზედ ხალხის გზის მაჩვენებელ ვარსკვლავად შეიქმნება. ამ ჟამად-კი თუმცა ათს წელიწადზედ მეტიც არის მას აქეთ, რაც ყოველივე საქმე ამ მამულში თვალსაჩინოდ და ღირსმისაბამად მომართულია, ჯერ-ჯერობით თითქმის არც ერთს მამულში, არც საბატონოსა და არც საგლეხკაცოში, მიბაძვის ნიშანი არსად ეტყობა. არ არის არსად მიღებული არც ვაზის რიგ-რიგზედ ჩაყრა, (სიღნაღის მაზრაში ბევრმა უკვე გადააკეთა თავიანთი ვენახები და ახლად აშენებულ ვენახებში ხომ სულ რიგ-რიგად ჩაყრილია ვაზი), არც მიწის შესამუშავებელი რაიმე ახალი იარაღი, არც რაიმე დღევანდელს სწავლაზედ დამყარებული ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების წეს-რიგი. (საბატონო ვენახები ხომ სრულიად წამხდარია უფრო იმერლებისაგან და იმათის უცოდინარობის გამო).

ეხლანდელი მევენახეები იმ წესითვე ავსებენ ვაზით მამულსა, როგორც მათნი მამა-პაპანი ავსებდნენ ვაზის გადაწვენ-გადმოწვენით. ისევ იმათებურად ჰხლავენ, აკავებენ და აკრავენ ვაზსა. ვენახის ნახევარს, ანუ მესამედს ჰბარავენ (გაღმა მხარის ვენახებს სრულიად არა ჰბარავენ, უფრო თოხით და წყლით მორწყვით ამუშავებენ ვაზსა) და დაბარულ-დათოხნილში სთესავენ ლობიოს, კიტრსა და სხვა-და-სხვა ბოსტნეულს, ხანდახან სიმინდსაც-კი. დაუბარავ ნაწილში ბალახსა ჰზრდიან და თიბავდა სთიბავენ. ისევ მამა-პაპურს ჩვეულებაზედ ჰკრეფავენ: იშვიათად თუ ვინმე მოუყვება ყურძნის გადარჩევას. სწურავენ თითქმის ნოეს დროის წესით—ფეხით და ხის ნავებში. ღვინოს აყენებენ ისევ თიხის ქვევრებში, როგორც ხმარებული იყო მამა-პაპისაგან, და გარედ ღია ჰაერში უმეტესად უმარნოდ. ტკბილს თითქმის მთელს ჭაჭას უშვრებიან და მიწით დახურულს ქვევრებში ადუღებენ. დადუღების შემდეგ გადიღებენ: წითელს უფრო ადრე, თეთრს გვიან—იანვარსა, ანუ თებერვალში. თეთრ ფერის ყურძენს შორის უფრო მეტად აფასებენ მწვანესა და რქა-წითელს, ფერადი—განთქმულია კახური საფერავი „თხელ-მტევნიანი", ძალიან მუქი წითელი, რომლის წვენში ხშირად ერთს მესამედს თეთრ ყურძნის წვენს ურევენ, წითელი ღვინო უფრო არ დაიწვისო. საუკეთესო თეთრ ღვინის დასაყენებლად განთქმულია „მწვანეს" წვენი, არეული ერთს მესამედ რქა წითლის წვენში. ერთის სიტყვით, კარგი ქართული ბარი, თიახი, მჭრელი სასხლავი და მარჯვე მკლავი, თან მამა-პაპური გადმონაცემი ჩვეულება ყოველიფერში და სასოება ღვინის ზედაშის წინაშე,—აი რა აკეთებს კახეთში იმოდენა სივრცის ვენახებს!

რაც შეეხება თითონ ღვინის ღირსებას, კაცმა მიუდგომელად უნდა აღიაროს, რომ, მრავალგვარ დაუმდევრობასა და უცოდინარობის მიუხედავად, თელავის მაზრაში ბევრგან გასაოცარის თვისებისა და ღირსების ღვინო დგება. რასაკვირველია, ამასთან უფრო მეტად საშუალო ღირსების ღვინოებიც იცის და დაბალი ღირსებისაც, მით უფრო, რომ ვაზის მოშენება თითქმის 2,700 ფუტის სიმაღლეზედ ადის.

საზოგადოდ შემჩნეულია, რომ

*) იხ. „ივერია" № 75.

თვალით, ხოლო მუხლი-მუხლს დაუპირდაპირეთ.

| „საქართველოს მოამბე“*) | ბ-ნ ჟორდანიას ნათქვამი*) |
| --- | --- |
| 1) ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა. ღმერთმა გვიხსნას იმ სულელურ თამამობისაგან, რომელიც ჰფიქრობს გადაასხვაფეროს ცხოვრება თავისებურად... თვითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისათვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა. მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ. (გვ. 121.) | 1) ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილა და ან დაიწერება და არა ის, რაც მხოლოდ წამკითხველის ოცნებაში აღბეჭდილა... პირველ ყოვლისა საჭიროა თვით მოვლენა, თვით ფაქტი და არა განყენებული მსჯელობა. ცხოვრებაში უფრო მეტი აზრია, ვინემ ერთ დიდ მოაზრე თავში. საჭიროა მხოლოდ იმის ამოკითხვა, სიღრმიდგან ზევით ამოტანა, სიბნელიდამ სინათლეში გადატანა. |
| 2) ჩვენის „მოამბის“ უმთავრესი საგანი აწინდელი ცხოვრება იქნება თავისის სრულის წარმოებითა, სრულის ვითარებითა... აწინდელ ცხოვრების ვითარება არა მარტო სადღეისო მოსავალია, რომელიც დღესვე უნდა დაიხარჯოს, არამედ მასში მომავლისათვისაც თესლი ურევია, როგორც წარსულში ერია აწმყოსათვის... თუ ჩვენი ჟურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ ამოჰკრიბოს ხვალისათვის... ერთის სიტყვით, უშველოს ცხოვრების წინ ფეხის გადადგმასა გასამჯობინებლად, გამოსაკეთებლად. (გვ. 122). | 2) ჩვენ აქ ვიკითხავთ: რომელია ძველი, გაქრობისაკენ მიდრეკილი, რომელი ახალი მერმისის მქონებელი... ჩვენ უმთავრეს ყურადღებას ამ უკანასკნელს მივაქცევთ... ჩვენი მიზანია მომავალის დაბადებას დავეხმაროთ. „კვალის“ რედაქციის უმაღლესი და უწმინდესი მიზანია ქართველს ხალხს დღევანდელი რთული პირობების შეგნება და თანხმად ამისა მოქმედება გაუადვილოს. |
| 3) ამ სახით, ჟურნალი უნდა თვალ-გაფაციცებით თან აჰყვეს აწინდელ ცხოვრებას, რათა ყოველ აღმოშობილს ფაქტსა თვალი და გონება ადევნოს, ყოველ საკეთილო აზრის მოძრაობას გზა გაუხსნას, ყოველისფერი შეჰნიშნოს და ყოველს ფერს პასუხი მისცეს. (გვ. 122). | 3) ერთის სიტყვით, მწერლობის ცხოვრებასთან შეკავშირება, მისი კვალ-და-კვალ მიყოლა, ახალ-ახალ მოვლენათა გარკვევა, ახსნა და შეგნება,—აი რედაქციის მიზანი, აი მისი სატრფიალო საგანი. |
| 4) დეე ზოგიერთებმა... წარტოლვილ ჭეშმარიტების ძებნაში ავარჯიშონ გონება... ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს. ჩვენ მეცნიერებას და ხელოვნებას მოვთხოვთ არსებითს პურსა, ცხოვრებაში გამომცხვარს და მშიერთათვის მოსახმარს და გამოსადეგსა. (გვ. 122) | 4) ჩვენი მიზანია ცხოვრების ფურცლებზე ის წავიკითხოთ, რაც დაწერილა, ან დაიწერება და არა ის, რაც მხოლოდ წამკითხველის ოცნებაში აღბეჭდილა... ჩვენ ამოვიტანთ იქიდამ, რაც იქ არის. |
| 5) სხვა რაღაც წარტოლვილ ცნობებში გაბმა და ტრიალი ჩვენთვის სრულიად უფასო იქნება და გამოუსადეგი. ეს იმან ინდომოს, ვინც სიტკბოებას ჰხედავს უქმის ჭკუის ვარჯიშობაში და აფრენაში. (გვ 123). | 5) ჩვენის აზრით, ყოველივე თეორია (?) *), გინდ იდეალი უნდა იქმნას მოძებნილი თვითონ ცხოვრების გულში და არა ადამიანთა აღფრთოვანებულ ფანტაზიაში... და არა ავტორთა გონების აღფრთოვანებაში... პირველ ყოვლისა საჭიროა ფაქტი და არა განყენებული მსჯელობა. |
| 6) იქ, ცხოვრების ძირში ის (ესე იგი ჟურნალი ხელოვნების შემწეობით) იპოვის ბევრს მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა... არც ერთის გამოთქმა და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა. ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩამოგვართმევენ, როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ და საქვეყნოდ გამოსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. (გვ. 124). | 6) აი რა არის ორგანოს დანიშნულება: საზოგადო კითხვების არა მიმალ-მომალვა, არა გადაფუჩეჩ-გადმოფუჩეჩება, არამედ სინათლეში გამოტანა, ერთიანად გამოაშკარავება, ჩვენი შეცდომ-ნაკლულევანების არა ხელის დაფარვა, არა მაზედ დაჩუმება, არამედ საჯაროდ აღნიშვნა და მაზე ხმა მაღლა მსჯელობა... ვუთხრათ ერთმანეთს სიმართლე, რაც გინდ მწარეც იყოს იგი, ნუ მოვიტყუილებთ თავს უბრალო ოცნებებით, რაზომც ტკბილიც იყოს იგი. |

*) იხ. „საქართველოს მოამბე“ 1863 წ. № 1. გვ. 121.

*) იხ. „კვალი“ 1898 წ. № 1. გვ. 1 და 2.

*) იდეალი კიდევ ჰო, თეორიის ცხოვრებაში ძებნისა-კი რა მოგახსენოთ. ცხოვრება რა თეორიის საბუდარია, რომ კაცმა ქათმის კვერცხებსავით იქ დაუწყოს ძებნა. თეორია კაცის გონების ნამოქმედარი საქმეა და მისი საგანძური მეცნიერებაა და არა ცხოვრება. ესეც ერთი მაგალითია, რომ ჩვენს მეცნიერს მარქსისტს ჯერ არც-კი უგემნია რა ხილია „თეორია“.

მე მთელ ამ ბინდ-გადაკრულს ბ-ნ ჟორდანიის ტირადაში იგი ვიგულისხმე, რასაც მცოდნე კაცი იტყოდა ამ შემთხვევაში.

აბა ერთისა და იმავე ნომრებით აღნიშნული მუხლები ბ-ნ ჟორდანიის თქმულისა და „საქართველოს მოამბისა“ ერთმანეთს პირში წაუყენეთ, ერთმანეთს დაუპირდაპირეთ და ისე გაუსინჯეთ კბილი და მერე გვიბძანეთ: „საქართველოს მოამბე“ ზედ-მიწევნით განმეორებულია, თუ არა ბ-ნ ჟორდანიისაგან? სომხები რომ იტყვიან,—განა მთლად „დარდაკი“ არ უნდა იყოს ის კაცი, რომელმაც მთელი ევროპა მოიარა თითქმის და იმოდენა ვერა შეიძინა რა, რომ თავისი საკუთარი ეთქვა რამ, მერე როდის? როცა თავისი ბაირალი გამოჰქონდა და ქვეყნისათვის უნდოდა ეჩვენებინა,—აი ზედ რა მიწერიაო, აი რა გზას მინდა დავადგეო! ერთი არ იკითხავთ: რა მოგვიტანა ახალი ამ გერმანიაში მთლად დაბლერტილმა მეცნიერმა? მაშინ, როცა საჭიროდ დაინახა თავისთა დედა-აზრთა და გულის ნადებთა გამოთქმა საქვეყნოდ, რა მოგვითხრო ახალი? განიმეორა ის, რაც ამ ოც-და-თექვსმეტ წლის წინად ჩვენში უკვე გამოთქმული იყო და თავისს ბაირალზე დაიწერა. ჩაიგდო ხელში „ივერიის“ პატრონისაგან ოც-და-თექვსმეტი წლის წინად გამოთქმული აზრები და პროგრამმა და იმითი ჰფარფაშობს დღეს ჩვენში, იმითი ახალის აღთქმის კაცობას სჩემულობს, ხოლო იმას-კი, ვისაც ფეხ-ქვეშიდამ ხალიჩა გამოაცალა და თვითონ არხეინად ზედ-მოიკეცა, ცხრა მთის იქით გზას უჩვენებს, წადი, გაგვეცალე, კონსერვატორი ხარო.

თხის პატრონს არც თხის კუდიო, ამასა ჰქვიან. ეს ისწავლეთ გერმანიაში? ერთი მითხარით: რა მომკეთ იმ დიდს სამკალში, რომელსაც გერმანია ჰქვიან? რა ფრთა-მოქცეულები წამოგვიღგით იმ ნამკალითა? ეს არის თქვენი გუდა ნაბადი? ეს არის თქვენი ბარგი-ბარხანა? იქ, მეცნიერების პური ვერ იხელთეთ და აქ მოხვედით და ჩვენს, შინაურს მჭადს შეგვეცილენით! ბარაქალას მეტი რა გეთქმით, ჩვენო უბარაქო, უარარაო მეცნიერო?

აბა ეხლა მე მეთქმის: ფიცი მწამს, რომ თქვენის ფიქრით „ივერიის“ პატრონი კონსერვატორია, და ის ბოლო-კი მაკვირვებს, რომ თქვენ, ბ-ნო ჟორდანიავ, მისის აზრებით და პროგრამმით იკვებებით და მაინც ჰლიბერალობთ. ჯერ სადა ხართ? ბევრს ამისთანა მაგალითებს ამოგილაგებთ აბგიდამ, რაც გინდ მაგრა მოაკრათ პირი და რაც გინდ შორს ჰმალოთ. კიდევ ვიტყვი: მარტო იმისი მეშინიან, თავი არ მოვაწყინო მკითხველს, რადგანაც თქვენისთანა ჩიტი მართლა ბრძოლვნად არა ღირს და ბურტყლები ხომ ჩალის ფასადაც არ გავა.

ახალ-მოსული

## რუსეთი

სავაჭრო-სამრეწველო დეპარტამენტმა ამ მოკლე ხანში გამოსცა ცნობანი, რომელიც შეეხება იმას, თუ რავდენად უმატნია რუსეთში ვაჭრობას და მრეწველობას. 1885 წელს სავაჭრო-სამრეწველო გადასახადი რუსეთის იმპერიაში 294,614 მილიონ მანეთამდე აღწევდა, 1898 წელს იყო 390,074 მილიონი მანეთი. ხოლო წელს სახელმწიფომ სავაჭრო, საფინანსო და სამრეწველო დაწესებულებათაგან მიიღო 493 მილიონი მანეთი. ასე რომ შედარებით წარსულ წლებთან სავაჭრო სამრეწველო და საფინანსო დაწესებულებათა გარდასახადს თითქმის ორ მილიონ მანეთამდე უმატნია.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

როგორც წინედაც ვწერდით, ბურები აქ-

ალაზნის გამოღმა მხარმა უფრო კარგი ღვინო იცის, ვიდრე გაღმა მხარმა, სადაც წითელი ღვინო უფრო კარგი იცის, ზოგან სანაქებოც, მაგალ., ყვარელსა და ართანაში. გამოღმა მხარში ერთგვარი გეოლოგიური ძარღვი მისდევს ახმეტიდგან მოკიდებული თითქმის სიღნაღამდე, რომელზედაც საუკეთესო ვენახებია აშენებული. ეს ძარღვი მისდევს თითქმის იმავ ხაზს, როგორც გაყვანილია ფოსტის გზა სიღნაღისაკენ, თუმცა აქა-იქ ამ გზას ჰშორდება და ზემოდ და ქვემოდ უხვევს. სიგანე ამ ძარღვისა საშუალოდ 3—4 ვერსამდე იქნება. იმ ვენახების ღვინო, რომელიც ამ ძარღვის წრის გარეთ, მარჯვნივ თუ მარცხნივ, აშენებულია, თავ-ღვინოდ აღარ ითვლება. ამიტომაც ერთსა და იმავ სოფელში სხვა-და-სხვა ღირსების ღვინოები იცის. გამოღმა მხარში განთქმულია უფრო და უფრო წინანდალის ღვინო, ქვემო ხოდაშნისა (გრძელ-მინდორი), კურდღელაურისა, შემდეგ კონდოლისა, რუის პირისა, იყალთოსი, აწყურისა, შიგა და შიგ ოჟიო-ხორხლისა და ზემო ხოდაშნისა (ბერის ღვინო).

საერთოდ-კი გაღმა და გამოღმა მხარშიაც საბატონო ზვრების ღვინო უფრო საუკეთესო თვისებებისად ითვლება, ვიდრე სადლეხ-კაცო ვენახებისა; ღვინის ვაჭრობაშიაც პირველს ხმაც მეტი აქვს გავარდნილი და, რასაკვირველია, უფრო მეტ ფასადაც იყიდება.

—

ყველა ზემო ნათქვამიდგან სჩანს, რომ თელავის მაზრის ვენახები წარმოადგენს არა მცირედს საერო ქონებას, შეგროვილს მამა-პაპურის შრომითა და ამაგით, მაგრამ ეს ქონება დღეს იმ არა სანატრელს მდგომარეობაშია, რომ ხალხს, არამც თუ სიმდიდრესა და კმაყოფილს ცხოვრებას არ ანიჭებს, არამედ სიღარიბესა და უიმედობაში აგდებს და თანაც ეს ქონება უძლურების გამო ნელ-ნელა ხელიდგან ეცლება. არ მეგულება, ჩემის მხრივ, არც ერთი კუთხე საქართველოსი, სადაც სიღარიბესა და ბოგანობას ისე გაედგას ფესვი გლეხკაცობაში, როგორც ეს თელავის მაზრაშია. ამიტომ ამ მშვენიერსა და ბუნებით მდიდარს მხარეს დახმარება ესაჭიროება, რომ ფეხზე წამოდგეს. პირველი და საფუძვლიანი დახმარება ის უნდა იყოს, რომ იქაურ მცხოვრებთ (წოდების განურჩევლად, რასაკვირველია) ვენახები ხელიდგან არ გამოეცალოთ და ამ ვენახებს, არა სივრცით, არამედ თვისების განკარგებით მოემატოს და მისი წარმოება გაძლიერდეს.

პირველ საგანში დიდი სამსახური შეუძლიან გაუწიოს, სხვათა შორის, ახალს წესებზედ შემოღებულ მცირე კრედიტის ხალხში გავრცელებამ, რომლის შემწეობით ხალხს შეძლება მიეცემა კერძო მოვალეებისაგან თავი იხსნას და თავისუფლად ამოისუნთქოს. რა ალაგიც უჭირავთ ამ კერძო მოვალეებს კახელ გლეხ-კაცის ცხოვრებაში, ყველამ კარგად იცის, ვისაც ჩემსავით კახეთში ბევრი ხანი უცხოვრია და ხალხთან საქმე ჰქონია! მეორე საგნის შესახებ მისაღები წამალი ის უნდა იყოს, რომ ვენახების საშუალო გამოსავალს რაც შეიძლება მოემატოს ვენახების უკეთესად შემუშავების შემოღებით, მათი გაპოხიერებით შესაფერის ქიმიურისა და ბუნებრივის სასუქებით, ვაზის საყოველთაო წამლობით და სეტყვისაგან ურთიერთ შორის დამზღვევ საზოგადოების დაარსებით. შეიძლება ამ მოკლე ხნის განმავლობაში დღიურის ვენახის საშუალო გამოსავალმა ორსა და სამს საპალნემდე აიწიოს. მაშინ, თუმცა შემუშავების ხარჯს არ მოაკლებდა და აუცილებლად მოემატება კიდეც, მაგრამ შემოსავალი და სარგებლობა ამ საერო წარმოებისა სულ სხვა იქმნება, ვიდრე ეხლა. იქნება წლის შემოსავალი ეხლანდელს ვენახების საფასურს უდრიდეს! რაკი ხალხი ქონებრივად წელში გაიშლება, იგი ჯანითაც და ზნეობრივაც გაღონიერდება: მცხოვრებთა რიცხვიც მოიმატებს და სწავლა-განათლება ხომ უფრო ფეხს მოიკიდებს და საერო გახდება. მხოლოდ მაშინ მიაღწევს ხალხი იმ ბედნიერებასა და ცხოვრების კმაყოფილებას, რასაც ეხლა ჩვენ სხვებს შევნატრით.

არ ვიცი შემდეგში შეიძლება მთელი კახეთი თვალ-გადაუწვდენელ ბაღებად და ვენახებად გადაიქცეს და ედემის მსგავსი შეიქმნას, მხოლოდ ეხლა-კი ხალხს პატრონობა და წინამძღოლობა უნდა. საკითხავი ესეც არის, ვინ უნდა იყოს ამ საქმეში წინამძღოლი და გზის მაჩვენებელი? კახეთის წარსულის ცხოვრების მიმდინარეობაში ადგილობრივ თავად-აზნაურობას ყოველთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონია და იმის ბედ-იღბლობის ჩალხის ტრიალში დედა-ბოძის ადგილი ისევ ამ თავად-აზნაურობას სჭერია. სწორედ ამ თავად-აზნაურობამ იგრძნო თავისი უწინდელი მოვალეობა და ამ სამისა თუ ოთხის წლის წინად დააარსა ვენახების პატრონთა ამხანაგობა „კახეთი“, რომელიც დღესაც სწარმოებს და ამხანაგობის ვენახების ღვინოს ჰყიდის. აი სწორედ ამ მევენახეთა ამხანაგობას უნდა დაევალოს ხალხის წინამძღვრობა ამ გაჭირვებულს მდგომარეობაში, რათა მან მიიღოს ყოველივე საშუალება და ზომიერება, რომ კახეთის მევენახობა ჯეროვანს წრეზედ დადგეს და შესაფერად აჯილდოვებდეს მუშაკს. ეს წინამძღვრობა ამგვარი სინდიკატების ზნეობრივი და ქონებრივი მოვალეობაა და მას შეუძლიან დიდი შემწეობაც გაუწიოს ხალხს, თუ თავისს მოქმედებას გააფართოვებს და იმად არ იქნება გადამდგარი, რომ, როგორც დღემდის, ამხანაგობის რამდენისამე წევრის ღვინის მოსავალად ჰყიდდეს. რასაკვირველია, ღვინის გაყიდვა აუცილებელი საჭიროებაა მევენახობის დღეგრძელობისათვისვე, მაგრამ სინდიკატმა თვით საღებ-მიცემო (სავაჭრო) ნივთსაც, ე. ი. ღვინოსა და მის მოყვანასაც ყურადღება უნდა მიაქციოს. რაც უფრო ბევრი, იაფი და საუცხოვო ღირსებისა და თვისების ვაჭრობის მასალა, ე. ი. ღვინო ექმნება სინდიკატს თავისს განკარგულებაში, უფრო მეტად შეიძლებს მოქმედებას და სიცოცხლის ძარღვიც მოემატება. ამისათვის საჭიროა, ჩემის აზრით, ამხანაგობამ შესწიროს ის ორგანიული ნაკლულევანება, რომელიც დაბადებითვე თან დაჰყვა და რომელიც ფართო და სასარგებლო მოქმედებაში ყოველთვის ხელს მოუცარავს. ამის შესასწორებლად საჭიროა მას მეტი დემოკრატიზაცია მიენიჭოს, ე. ი. ამხანაგობას ჩამოეცალოს ის ჩინეთის ზღუდე, რომელიც ხალხს ხელს უშლის წოდების განურჩევლად ამხანაგობის წევრად შესვლას. წოდებრივი გარჩევა ეკონომიურს სინდიკატებში სრულიად უმნიშვნელოა და უსარგებლო. მეორე შესწორება კიდევ ის უნდა იყოს, რომ ამხანაგობამ თავისის მოქმედების ცენტრი ტფილისიდგან აუცილებლივ ადგილობრივ კახეთში, მაგალითად, თელავში გადიტანოს და იქ დააარსოს მთავარ-გამგეობა და სარდაფი, სადაც ღვინოები უნდა მზადდებოდეს გასასყიდად და იქიდგან ტფილისსა და სხვა ქალაქებში კასრებით (ბოჭკებით) იგზავნებოდეს. მხოლოდ ამ საშუალებით შეუძლიან ამხანაგობის გამგეობას მევენახეობის მთელს საქმეს სათავეში ჩაუდგეს და ხალხს ის უზომო სარგებლობა მოუტანოს, რომელიც ზნეობრივ მოვალეობად აწევს, ე. ი. მევენახეთ ხელი ისე წარუმართოს თავიანთ საქმეში, რათა მათ ამ ქვეყნიურს ბედნიერებას ეღირსნენ და მოშორდნენ იმ სიღარიბესა და სილატაკეს, რომლის ტვირთ ქვეშ დღეს კახელი გლეხკაცი ჰკვნესის.

თავ. სიმონ ვეზირიშვილი

ნობამდის იგერიებდნენ მტერს, ხოლო რაც ხანი მთავარ სარდლად გენერალი ბოტა დანიშნათ, მათ თვით მიიტანეს იერიში ინგლისელებზე და როგორც დეპეშები გვაუწყებენ, ბურებს ამგვარი ომის წესი-რიგი ძლიერ გამოადგათ: ბლუმფონტენიდამ იუწყებიან, რომ 25-ს 29 მარტს ბურებმა კვლავ დაამარცხეს ინგლისელები მერკატსტროფენდთან. ამ ბრძოლებში ბურებმა კიდევ მოუგლეს ინგლისს 600 ჯარის-კაცი და 900—ტყვედ წაიყვანეს. ბურებმა გაიტაცეს აგრეთვე 12 სურსათის ურემი. ვეპენერთან ინგლისის ჯარს ალყა შემოარტყეს, დაამარცხეს პოლკოვნიკი პლუმერი და ბადენ-პაუელი, ასე რომ ამ უკანასკნელთ წაუხდათ თვისი გეგმა მეფეკინგის განსათავისუფლებლად. პლუმერმა დაკარგა 6 ოფიცერი და თვითონაც დაიჭრა. დაიჭრა თუ არა ბადენ-პაუელიც, არავინ იცის, მხოლოდ იტყობინებიან, რომ იგი მეფეკინგში გარდაიცვალაო. საზოგადოდ ქ. მეფეკინგი ცუდ მდგომარეობაშია. ინგლისის ჯარი ნახევრად მშიერია, ხოლო ბურები უფრო და უფრო იწევენ მეფეკინგისაკენ. რობერტსმა ამ ადგილებში ჯარის მისაშველებლად გაგზავნა გენ. გატეკრი, მაგრამ ბურებმა ისიც აიძულეს უკანვე დაბრუნებულიყო ბეთანიისაკენ. ბურებს ეშინიათ, რობერტსი არ მიეშველოს მებრძოლ ინგლისის ჯარსო, ამისთვის ისინი თვისი მცირე რაზმებით უტევენ ბლუმფონტენის მეციხოვნეთ სხვადასხვა მხრიდგან. რობერტსმა ბევრი მოთმინების შემდეგ მოიწადინა უკანიდამ მოეკლო ბურებისათვის და გზა გადაეჭრა მათთვის გველეშაპის ბუდიდგან, მაგრამ ამ ცდამაც ამაოდ ჩაიარა. ბროდვუდის მოწინავე ჯარის ურმები რიცხვით 100 ბურებმა ჩაიგდეს ხელში, როდესაც ინგლისელები ქვლოგიას ულიდნენ მათ გარეშემო. ეს იყო ერთი უმთავრესი ისარი ბურების ბანაკიდამ რობერტსის ბანაკში და ამის შემდეგ რობერტსი მართლაც საგონებელს მიეცა. ამას გარდა, ინგლისელების ჯარს თანდათან სურსათი აკლდებათ, ზამთარიც ახლოვდება და ვინ იცის როგორ აიტანენ ცხელი აფრიკის ჭკავს ჩრდილოელი ბრიტანიელები.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

4 აპრილი.

**ლონდონი.** „Standard“-ს ბლუმფონტენიდგან სწერენ, რომ ბურების იმ ჯარმა, რომელიც ვეპერენს ერტყა, ქალაქს თავი მიანება და წავიდაო. „Daily Telegraph“ ამას უმატებს, რომ ჯარის უმრავლესობა ჩრდილოეთისაკენ მიდისო, მაგრამ ამასთან ერთად 6,000 ბური ბეტულიას უახლოვდებაო.

„Times“-ს ბლუმფონტენიდგან ატყობინებენ, რომ ვეპერენთან მყოფი ბურების ჯარი სამხრეთისკენ წავიდა, მაგრამ ნამდვილი არ იციან, სად მიდის ეს ჯარიო.

მეფკინგიდგან „Times“ დეპეშით ატყობინებენ, რომ სნიტმანი უკვე ბანაკში დაბრუნდა და ყუმბარების სროლა განახლებულ იქმნაო. ხუთის ზარბაზნიდგან ქალაქის დასავლეთის სიმაგრეებს ესვრიან. ზარალის შესახებ არაფერს იუწყებიან.

**ბუქარესტი.** გუშინ დასრულდა პარლამენტის სესსია.

**წმ. ელენეს კუნძული.** დღეს გადასხეს გემებიდგან ტყვეები და მოათავსეს დედვუდს მათთვის გამართულ ბანაკში, სადაც ტყვე ბურებს სამხედრო მუსიკით მიეგებნენ. ტყვეები კარგად არიან და უხარიანთ, რომ ხელ-ახლა მიწაზედ გადავიდნენ. ავადმყოფნი საავადმყოფოში დააწვინეს პოლკოვნიკი შილი საპატიმროდგან გამოუშვეს და ეხლა ბანაკშია.

**ჰააგა.** ბურების მისსიამ ფორმალურად უარი სთქვა გამოუცხადოს ჟურნალისტებს რა აზრით არის წამოსული. დღემდის მისსიამ მიიღო მხოლოდ ისინი, ვინც სამხრეთ აფრიკის საქმეებშია დაინტერესებული. მისსიის წევრებს იმედი აქვთ, რომ დედოფალი მიიღებს მათ, მაგრამ ჯერ ჯერობით ამის შესახებ არაფერი გადაუწყვეტიათ. გუშინდელი სადამო მისსიის წევრებმა ტრანსვაალის წინანდელ ელჩის ქვრივთან გაატარეს.

**თეირანი.** ჯუანრუს ოლქის სხვა-და-სხვა ადგილას, ოსმალეთის საზღვრის მახლობლად, კირმან-შაჰიდგან ჩრდილოეთით 40 მილის მანძილზედ, შავი ჭირი გაჩნდა. სამის კვირის განმავლობაში შავის ჭირისაგან 195 კაცი გარდაიცვალა.

**კაპენჰაგენი.** უელსის პრინცი ხუთშაბათს დილით მიდის ლონდონში. უელსის პრინცესა რამდენსამე დღეს აქ დაჰყოფს კიდევ.

**პარიჟი.** რესპუბლიკის პრეზიდენტმა დღეს რუსეთის განყოფილება დაათვალიერა. რუსეთის პავილიონთან პრეზიდენტს დაჰხვდნენ ელჩი თავ. ურუსოვი, საგენერალო კომისარი თავ. ტენიშევი, საგეოგრაფო საზოგადოების წარმომადგენელი სემენოვი და სხვანი. შესავალთან იდგნენ რუსეთის ზღვაოსანნი და მუშები. პრეზიდენტს „ვაშას“ ძახილით მიეგებნენ. ლუბემ დაათვალიერა განყოფილების ყველა დარბაზები. მთავარ-დარბაზში იყო მშვენიერი რუკა საფრანგეთისა. პრეზიდენტმა სთქვა, რომ ძალიან მადლობელი ვარ ამ საჩუქრისა და მთელი საფრანგეთიც დააფასებს მას, რადგანაც ეს საჩუქარი ორსავე ერის მეგობრობის ნიშანიაო. ეს რუკა ლუვრის მუზეიში იქმნება მოთავსებულიო. ამ დროს მემუსიკეთ შეასრულეს მარსელიეზა და რუსეთის საერო საგალობელი შემდეგ. რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაათვალიერა დარბაზები კავკასიისა, ციმბირისა, სამრეწველო, სამხატვრო და სხვანი, ბოლოს გადავიდა რუსულ სოფელში. ლუბე 10 საათსა და 30 წუთზედ წავიდა.

5 აპრილი

**ჰააგა.** როგორც ისმის, ბურების მისსია აქ რამე განსაკუთრებულ საქმისთვის არ არის: აქ ყოფნით იგი მხოლოდ ასრულებს ერთ ნაწილს მთელის პროგრამისას, რომელიც ისაა, რომ დაიარონ ევროპის სატახტო ქალაქები და სისრულეში მოიყვანონ უმთავრეს ხელმწიფეების წინაშე ორსავე რესპუბლიკის მთავრობათა მიერ მინდობილი საქმე. გუშინ ტრანსვაალის ელჩად ყოფილის ქვრივთან, მისსიის პატივსაცემად, გამართულს სადამოს დაესწრნენ მინისტრ-პრეზიდენტი და გარეშე საქმეთა მინისტრი.

**მასსერუ.** ბურების დარაჯები იუწყებიან ინგლისის ჯარის მოახლოვებას ვეპენერის განსათავისუფლებლად. ბურების უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ვეპენერს ალყა მოეხსნან და გაეცალნენ ამ ქალაქს, მაგრამ ოლივიე ეწინააღმდეგება მათ.

**ბერია.** აქ მოვიდა სამი გემი, რომლებზედაც ავსტრალიელი ბუშმენები არიან.

**ტანჟერი.** ფრანგების მიერ ტუატუსა და იგლისის დაჭერამ მაროკკოს ოფიციალურ წრეებში დიდი მითქმა-მოთქმა და ლაპარაკი გამოიწვია. აქ მოვიდნენ უმაღლესნი მოხელენი პროტესტის განსაცხადებლად. ჰშიშობენ, რომ ტაფილეტთან ვაჭრობა ამიერიდგან ალჟირში არ გადავიდეს, რაც დიდ ზარალს მოუტანს მაროკკოს ხაზინას.

**პარიჟი.** (4 აპრილის დეპეშის დამატებაა). რუსეთის განყოფილების მთავარ დარბაზში მოთავსებულია მარმარილოსაგან გაკეთებული და ძვირფასის ქვებით მოჭედილი საფრანგეთის რუკა-საჩუქარი ხელმწიფე იმპერატორისა საფრანგეთის მთავრობას, პრეზიდენტმა სთქვა, რომ დიდი მადლობელი ვარ მისის უდიდებულესობის საჩუქრისა, რომელსაც საფრანგეთის ერი ისევე დააფასებს, როგორც მე დავაფასეო. შემდეგ ლუბე „რუსულ სოფელში“ გადავიდა, სადაც ქ-ნმა იაკუნჩიკოვისამ დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს სახელით, რუსულის ჩვეულებისამებრ, პურ-მარილი მიართვა. ლუბემ მადლობა გადაუხადა და სთხოვა დიდს მთავრინასაც გადასცეს მისი მადლობა და პატივის ცემა.

**ბერლინი.** ის ამბავი, ვითომ სტატს-სეკრეტარმა ბიულოვმა ბურების მისსია მიიღო, სიმართლეს მოკლებულია. ზოგიერთი გაზეთები ამბობენ, ძნელი გასაგებია, რად მიდის მისსია ბერლინში, მას შემდეგ, რაც ინგლისმა განაცხადა არავითარ შუამდგომლობას არ მივიღებო.

**ჯიბუტი.** მახდის ჯარი ოგადენში გაიქცა. ეს ჯარი მენელიკის მიერ გაგზავნილმა აბაშელებმა დაამარცხეს. გამარჯვებულნი აბაშელნი ხარრარში დაბრუნდნენ. სარწმუნოებრივი ომი დასრულდა.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 14 აპრილს, შუადღის 12 საათზედ, დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** ნამეტნავ თუჯის მილებისა და მეულ თუჯისავე ტიურბინებისა გასასყიდად, სულ 1,000 ფუთამდე, რომელიც ავჭალის საქალაქო წყლის მილის სამუშაოში არის.

(3—6.—1)

### ქალაქის გამგეობა

საჭიროდ სთვლის სურსათის ვაჭართა საყურადღებოდ გამოაცხადოს, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის 1892 წლის 27 იანვრის, № 122, ცირკულიარით აღკრძალულია ანილინის საღებავის ხმარება საკვებ, საკანდიტერო და სხვა სანოვაგის, აგრეთვე ღვინოსა და სხვა სასმელების შესაღებად. ამისათვის ნება დართულია მხოლოდ მცენარეულობის პიგმენტების ხმარება. ვისაც ამ მავნე საღებავების ხმარებაში შენიშნავენ, ის კანონიერ პასუხის გებაში იქმნება მიცემული. (3—6.—2)

### ქალაქის გამგეობა

საჭიროდ სთვლის გააფრთხილოს მცხოვრებნი, რომ ქ. ტფილისში ვაჭარნი **კვერცხების საღებავად** ხმარობენ ანილინის და ლითონის (ეგრედ წოდებულ ვერცხლისა და ოქროსი) საღებავებს, რომლებიც ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის გამოკვლევით მავნედ არის ცნობილი.

იმ ვაჭრებს, რომელნიც ამ საღებავების ხმარებაში იქმნებიან შენიშნულნი, ქალაქის გამგეობა პასუხის გებაში მისცემს. (3—6.—2)

ახლად დაარსებულს ღვინის საწყობში

### „პატარა კახი“-ს

სახელით ისყიდება ნამდვილი კახური ღვინო ბოთლი 15 კ—გან და ვედრო 1მ.—80 კ. აგრეთვე ბოთლობით ისყიდება კავკასიის რკინის გზის მომხმარებელ საზოგადოების საწყობებში: მიხეილის ქუჩა, იუნკრის სასწავლებლის ახლო, დიდუბეში—ელისაბედის ქუჩა, სახლი ტარიელაშვილისა და ნაძალადევში. მთავარი საწყობი არის ნ. ვ. მთვარელიშვილის სახლის სარდაფში, ავჭალის შესახვევსა და მინკვიცის ქუჩის კუთხეში, №№ 9/18. (3—6.—3)




(50—267—23)

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 1900 წლის 14 აპრილს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით მოიჯარადრემ უნდა წარმოადგინოს 600 კუბიკ. საჟ. ქვა და 120 კუბ. საჟ. ქვიშა ქალაქის ქუჩის რემონტისათვის.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან დაწვრილებით პირობები განიხილოს ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. (3—6.—2).

### კახური ღვინის საწყობი სარდაფი „კურდღელაური“

ამით აუწყებს საზოგადოებას, რომ იქ საუკეთესო ღვინო მსურველთ დაეთმობათ ბოთლი 15 კ., 20 კ. და სხვა ფასად.

ვედრო 1 მ. 80 კ., თუნგი 60 კ. და სხვა ფასად. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ჩუღურეთში, რიყის ქუჩაზედ, გაბაევის სახლში, № 6. ტფილისში.

(4—89—3) პატივისცემით ი. ა. სახუტაშვილი

### მომავალის დღესასწაულებისათვის

მივიღე საუკეთესო კახური ღვინოები.

**ვედრო** ისყიდება 1 მ. 80 კ. ვიდრე 6 მ. **ბოთლი** 15 კაპ. ვიდრე 1 მ. ჩვენის სარდაფიდგან ღვინის დაკვეთა ყველა მხრიდგან შეიძლება, მხოლოდ ბე უნდა გამოიგზავნოს. სარდაფები იმყოფება: პირველი—შუა ბაზრის თავში, წინამძღვაროვების შენობაში და მეორე—ქალაქის პირველ ნაწილში, ოლგას ქუჩაზედ, გაბაევის შენობაში.

(2—92—2) ს. ი. კურდღელაშვილი

### საყურადღებო განცხადება

თუმცა პასკებს (ბაბკებს) ბევრი აცხობს, მაგრამ ჯერ ბევრს-კი არა აქვს შესწავლილი ნამდვილი ხელობა პასკების კარგად გამოცხობისა, რის გამო მსყიდველი ხშირად სტყუვდება.

ამისათვის მაქვს პატივი ვაუწყო საზოგადოებას, რომ

**არ. ივ. ალიხანოვის**

## საკანდიტეროში

ვორონცოვის ძეგლთან

სააღდგომოდ მზადდება დიდძალი პასკები და «კულიჩები»,

ღირსება ჩემს სახელოსნოში მომზადებულ პასკებისა, რომელიც საუკეთესო მასალიდან კეთდება ხოლმე, ყოველთვის საუცხოვო გემოშია, რაშიაც პატივცემული საზოგადოება ძლიერ ადვილად დარწმუნდება.

**ДРОЖЖЕВОЙ ЗАВОДЪ К. ШУРЪ**

(2—92—2) პატივისცემით არ. ივ. ალიხანოვი